№ 220
ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 220
ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ეღირება **3** მან. **50** კაპ.

**კნეინა ნინო ივანეს ასული ვაჩნაძისა**, აცხადებს-რა, რომ კვირას, 17 ოქტომბერს, სოფელ ბაკურციხეში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი მეორმოცე დღეს

**თავ. ზაქარია (შაქრო) იოსების ძის ვაჩნაძის**

გარდაცვალებისა, სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—164—1).

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი გაბრ. იოს.
**გოკიელოვი**
იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
წფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 20.
(40—140—15)

**ქართველ ქალთა სამკერვალო**

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.
იქვე მიიღებენ შეგირდებს.
საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.
ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.
**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).
**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.
**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.
**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.
**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.
**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.
**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).
**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. გურკო.** $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.
**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^{1}/_{2}$ საათ.
**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(—1—წ).

**ე ქ ი მ ი**
**კ. ს. გძელიშვილი**
მ ი ი ღ ე ბ ს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—52)

**ისყიდება**
**ექვს ოთახიანი სახლი**, ხლებნი გორკაზედ, გუნიბის ქუჩაზედ, № 7.
იკითხეთ გიორგობიანთან.
(2—163—2)

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 7 ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

**„შუამავალი“-ს**

საზოგადო საგანგებო კრების გაგრძელება. დაიწყება სრულს 7 საათზედ. ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნება ცალკე მოწვევის ბარათები.
(2—6.—1)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელს გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინს შეუწირავს ქართულის დრამატიულის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად 2.000 მან.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ პარასკევს, 15 ოქტომბერს, პეტერბურგიდგან ჩამოსული არტისტი ქალი ქ-ნი გუშჩინისა კონცერტს ჰმართავს *). ქ-ნი გუშჩინისა თავისის მშვენიერის ხმით კარგად ცნობილია პეტერბურგის კონცერტებზედ. სხვათა შორის ქ-ნი გუშჩინისა ყოველთვის იღებს ხოლმე მონაწილეობას პეტერბურგის ქართველ სტუდენტების კონცერტებშიც და მით ეხმარება ჩვენს ახალგაზდობას, უმაღლესის განათლებისთვის რუსეთში წასულს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი საზოგადოება მრავლად დაესწრობა ამ კონცერტზედ და მით, სხვათა შორის, მადლობას გადუხდის პეტერბურგელს მომღერალს ქალს ქართველს მოსწავლეთა იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც იგი არ აკლებს კონცერტში მონაწილეობის მიღებით ჩვენს სტუდენტობას.

*) ტფილისის კლუბში, რომელიც თ. მუხრანისეულის სახლებში იმყოფება.

*** კვირას, 10 ოქტომბერს, ტფილისში, კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფის შვილმა ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-44 რაზმის შტაბს-როტმისტრმა ბორის სერგეის ძემ შერემეტიევმა ჯვარი დაიწერა თავადის ქალს ელისაბედ ალექსანდრეს ასულს ბაგრატიონ-მუხრან-ბატონზედ. ჯვარის წერა მოხდა ამ რაზმის ეკკლესიაში, რომელიც სავსე იყო წარჩინებულის საზოგადოებით. ბორის სარგეის ძის მდადეობა ინება მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა, რომელმაც თავისი მოადგილეობა კნეინა ამილახვარისას დაავალა; ხოლო ჯვარის მამად-კი იყო ძმა ე. ბ. შერემეტევისა, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი, უგანათლ. თავ. გოლიცინი. ახალგაზდა ქალის ჯვარის მამობა ინება მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ თვისის უავგუსტოესის მამის სახელით, ხოლო მდადეობა კი ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის უფროსად ნამყოფმა ქ-ნმა ო. მ. ბუტურლინმა. მეჯვარეებად სასიძოს მხრივ იყვნენ: პოლკოვნიკი პეტროვი, კაპიტანი თამამშევი, როტმისტრები ლლონტი და ალტუხოვი, შტაბს-როტმისტრი შერემეტიევი, პორუჩიკი სალტიკოვი, უგანათ. თავ. ვიტგენშტეინი, კორნეტი თავ. ამილახვარი, პორუჩ. ზაატ ხანი და კორნეტი დალი. ხოლო სასძლოს მხრივ კი იყვნენ: პორუჩიკები შმიდტი, მეინდორფი, თავ. ტრუბეცკოი, თავ. ორბელიანი, მარტინოვი, კადეტები: თავ. ჯორჯაძე, თავ. მუხრან-ბატონი და თავ. წერეთელი. ჯვარის წერის გათავების შემდეგ ახლად დაქორწინებულნი და აუარებელი სტუმრები შეიკრიბნენ ზემოხსენებულ რაზმის აფიცერთა საკრებულოში, რომელიც ძვირფასად იყო მორთული. აქ ახალგაზდებს მილოცეს გაბედნიერება, რის შემდეგ საუზმე გაიმართა. საუზმის შემდეგ ახლად ჯვარდაწერილნი წავიდნენ ბორის სერგეის-ძის ბინაზედ, სადაც გარდახდილ იქმნა პარაკლისი. საღამოს ახლად დაქორწინებულნი რკინის გზის სადგურზედ წავიდნენ, სადაც მათ მიეგება რჩეული საზოგადოება და ხორო სამხედრო მუსიკისა. ცოტა ხნის შემდეგ ახლად ჯვარდაწერილნი მატარებლით ყირიმს წავიდნენ სამოგზაუროდ.

*** კვირას, 10 ოქტომბერს, ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრის გამოფენა და შემოწმება. შემმოწმებელმა კომისიამ ყველა ნამუშევარი საუკეთესოდ სცნო და მათ მომზადებელთ ოსტატების ხარისხი მისცეს.
როგორც ისმის, ხმ. ა. ს. ბაბოვს განზრახვა აქვს განცხადება წარუდგინოს საბჭოს იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა ნამუშევრის გამოსაფენად და გასასყიდად დაეთმოს სასწავლებელს დარბაზი ქალაქის სახლში ერევნის ქუჩაზედ.

*** გუშინ, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ საათზედ, ტფილისში აკურთხეს და დაიწყო კავკასიის სამეურნეო-სამეცნიერო გამოფენა, რომელიც სამხედრო მუზეის შენობაშია გამართული. გამოფენას დაესწრნენ მისი ბრწყინვალება, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულტან-კრიმ-გირეი და მრავალნი სხვანი.

*** 3 ოქტომბრიდგან ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების ნავთლუღის სასადილომ, რომელიც ამა წლის მაისში დაიკეტა, კვლავ დაიწყო მოქმედება იმავე წესით, როგორც წინად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოსადილე ბავშვთა რიცხვი 25-კი აღარ იქმნება, როგორც შარშან იყო, არამედ მხოლოდ 20.

*** თფილისში კერძო დეპეშამ პეტერბურგიდგან ამბავი მოიტანა, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლის ძალითაც თავ. შიხი ტუსიშვილს, თავ. ვლადიმერ ბარათაშვილს, აზნ. გიორგი ოსიტაშვილს და ალექსანდრე ტერშმოვანოვს დავით გაბაშვილის მოკვლის გამო ყოველ-უფლება უპირატესობის აყრა და 4 წლის კატორგა მიესაჯათ, სენატმა 2 ოქტომბერს გააუქმა. ეს საქმე დაუბრუნდება სამოსამართლო პალატას ხელახლად განსახილველად.

*** განზრახვა აქვთ, რომ კახეთის რკინის გზა გაიყვანონ ქ. ტფილისიდგან და არა ზემო ავჭალიდგან, როგორც პირველად იყო განზრახული.

*** როგორც ისმის, კავკასიის მთავარმართებელს ნება დაურთავს დატოვებულ იქმნან მესამე წლით ერთსა და იმავე კლასში ქუთაისის სავაჟო გიმნაზიისა და ტფილისის

სამასწავლებლო ინსტიტუტის ზოგიერთი მოსწავლენი.

*** მოსკოვიდან იუწყებიან, რომ 5 ოქტომბერს იქ მიასვენეს და იმავე დღეს დაასაფლავეს მეფის გიორგი მე-XIII-ის შვილისშვილის უგანათ. თავ. გრიგოლ ილიასძის გრუზინსკის გვამი. დასაფლავებას დაესწრნენ რამდენიმე ნათესავი და ქართველი სტუდენტები. პანაშვიდი გარდაიხადა ქართულ ენაზედ მ. გამბარაშვილმა.

*** 11 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრების გახსნის თანავე, ქალაქის მოურავმა ბ-ნმა გ. გ. ევანგულოვმა განაცხადა, რომ დღევანდელ განსახილველ საგანთა შორის აღნიშნულია გამგეობის მოხსენებანი ქალაქის რკინის გზის იჯარით აღების მსურველთა მოწვევის შედეგისა და ქალაქის ელექტრონით განათების შესახებო. რადგან პირველი საგანი ერთობ რთულია და ხმოსნები დაწვრილებით უნდა გაეცნან მას, საჭიროა ყველა მასალა იმის შესახებ ჯერ-ჯერობით ცალკე დაიბეჭდოსო, ხოლო მეორე საგნის შესახებ სიმენსისა და გალსკეს ფირმასთან ხელშეკრულობის პროექტის შედგენა დამთავრებული არ არის, საჭიროდ მიგვაჩნია ამ საგნების განხილვა შემდეგის კრებისთვის გადაიდვასო. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ცხვრის ხ.ირცის ნიხრი შეიცვალოს: გირვანქას $8^1/_2$ კაპ. მაგიერ 7 კაპ. დაედვას. შემდეგ საბჭომ გადასდო 10,000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს წლეულს ქუჩების მოკირწყვლას. ამ ფულებიდგან 3000 მანეთი იმ ქუჩებს მოხმარდება, რომლებიც დაგეგმებული და განწესრიგებული არ არის და რომელთა სახლის პატრონები ნახევარს ხარჯს იკისრებენ, ხოლო დანარჩენი 7000 მან. სხვა ქუჩებს.

*** ქ. გორის ქალაქის მამასახლისის შუამდგომლობის გამო ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა გორის მაზრის უფროსს, აჰკრიფეთ დაფასების დარჩენილი გარდასახადი, რომელიც 14,000 მან. აღემატებაო.

*** გორის მაზრის სოფ. ოქონის მცხოვრებთ სთხოვეს კავკასიის უმაღლესს მთავრობას, შემწეობა აღმოგვიჩინეთ იმ ზარალის გამო, რომელიც სეტყვამ და ნიაღვარმა მოგვაყენაო.

*** ამ დღეებში თელავის ქალაქის მამასახლისმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს თელავის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა თელავში სავაჭრო დღეების დაწესების შესახებ.

*** დიდუბეში, რკინის გზის სახელოსნოს მახლობლად, არსებობს ბ—ძის სამიკიტნო. ეს დუქანი სწორედ ისეთ ადგილზედ იმყოფება, სადაც უთუოდ უნდა გაიარონ რკინის გზის მუშებმა; ამის გამო ეს სამიკიტნო ნამდვილ სამაცდურო ხაფანგად გარდაქცეულა მუშათათვის, რომელთაც ყოველ წუთს ჰნახავთ აქ მოქეიფეთ. აი იქ, ამ სამიკიტნოში ჰფლანგავს უმეცარი მუშა, თვისს თვიდგან თვემდე ჭირის ოფლით მონაგარ ორიოდე გროშს სწორედ იმ დროს, როდესაც შინ ცოლშვილი შიმშილ-წყურვილით უწიოკდება. კარგი იქმნება ამ სამიკიტნოს ყურადღება მიაქციონ.

*** ასტრონომების სიტყვით, „მომწყდარ ვარსკვლავთა“ გროვა გამოჩნდება ცაზედ 3 ნოემბერს შუაღამისას.

*** 10 ნოემბრიდგან 25-მდე ქ. თელავში გაიმართება კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა კრების სხდომები. კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, კახეთის მევენახეთა გარდა, ტფილისისა და განჯის გუბერნიებისა და ზაქათალის ოლქის უმახლობელეს ადგილების მევენახეთ; ამას გარდა, კრებაში მონაწილეობის მიღების ნება აქვს ყველა იმას, ვისაც დამოკიდებულება აქვს ადგილობრივს მევენახეობისა და მეღვინეობის საქმესთან. კრების თავმჯდომარედ დანიშნულია კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გევესკი. საქმეთა წარმოება და კრების გამართვის თავდარიგი მინდობილი აქვთ აგრონომს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს და კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის სხვა წევრთ.

კრების განსახილველი საგნებია: 1) კახეთში ფილოქსერის შეტანის საწინაამდეგო ღონისძიებანი, 2) ფილოქსერასთან ბრძოლის წესრიგი, თუ ვინიცობაა იგი კახეთის ვენახებში გაჩნდა, 3) ამერიკულ ვაზის მოვლა მოშენების ცდა, 4) კახეთში არსებულ ვაზისა და სხვა მცენარეთა ავადმყოფობასთან ბრძოლის წესრიგი, 5) მევენახეობისა და მეღვინეობის საუკეთესო წესები, 6) კახურ ღვინოების „გასაღება, 7) მევენახეობისა და მეღვინეობის და აგრეთვე მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა სამეურნეო დარგთა შესახებ ცოდნის გავრცელება, 8) მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებათათვის იაფ-ფასიან კრედიტის დაარსება, 9) სეტყვისაგან კახეთის მეურნეთა დაცვის წესები, 10) ადგილობრივ მეურნეთაგან მონაწილეობის მიღება იმ ღონისძიებათა ხმარებაში, რომელნიც ადგილობრივის მევენახეობისა და მეღვინეობის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად იხმარება.

*** „ტფ. ფ.“ ატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედების მინისტრს ნება დაურთავს გორის მაზრის სოფ. ოძისში, ერისთვის-მიერ შეწირულ მამულში, დაარსებულ იქმნას დაბალი სამეურნეო სასწავლებელი, ხოლო საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმე-კი ჯერ არ არის გარდაწყვეტილი.

*** „ახ. მიმ.“-ს ბაქოდგან დეპეშით აუწყებენ, რომ იქ 11 ოქტომბერს რევოლვერით თავი მოუკლავს ადგილობრის ვაჭარს აპკაროვს. ამ დღეს თურმე თამასუქებით ვალის გარდახდის ვადა დაუდგა განსვენებულს.

—

**შეცდომის გასწორება.** წერილში, „სასწავლებლის საჭიროება ზესტაფონში“, იმ შეცდომის გარდა, რომელიც გუშინ გვქონდა გასწორებული, მეორე შეცდომაც ყოფილა. ერთ ადგილას დაბეჭდილია: „12—15 მანეთამდე“, უნდა იყოს:—„1 მ. და 50 კაპიკამდე.“

## ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

19 ენკენისთვეს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელთან პარაკლისის გარდახდის შემდეგ გაიხსნა სამეურნეო გამოფენა, რომელსაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

გამოფენა, სამწუხაროდ, უხეიროდ იყო მოწყობილი. თუმცა სცდილიყვნენ, რომ სხვა-და-სხვა სამეურნეო დარგის ნაწარმოები ცალ-ცალკე განყოფილებაში მოეთავსებინათ, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ და სხვა-დასხვა გვარი საგნები ერთმანეთში იყო არეული. აბრეშუმეულობასთან შეგხვდებოდათ მოსწავლეთა წიგნები, რვეულები, მიკროსკოპები; თაფლთან და სანთლებთან—აგურები, ქუდები, განჯინები, საათები, ძვირფასი ქვები და ღვინოებთან ცხელ ქვეყნების მცენარენი. არ ითქმის, რომ ნაწარმოები ბლომად არ ყოფილიყოს გამოფენილი: ზოგიერთი განყოფილება, როგორც მაგ. მეაბრეშუმეობისა და ხელსაქმისა, მდიდარიც იყო, მაგრამ ზოგიერთი განყოფილება კი ძლიერ კოჭლობდა; მაგალითად, რძის ნაწარმოებიდგან იყო მხოლოდ ორი თავი ლეჩხუმელი ყველი და ისიც ყოვლად უხეირო.

აბრეშუმეულობაში ძლიერ სასიამოვნო სანახავი იყო კუხის ამხანაგობის და გურიის „შუამავალი“-საგან წარმოგზავნილი სხვა და სხვა ფერის დარაიები, ცხვირსახოცები, ლენტები და სხ.; განსაკუთრებით ძლიერ მიმზიდველი იყო თავისი სიშვენიერით და ორიგინალობით საფრანგეთში კურს-დამთავრებულის ბ-ნ ტ. ღამბაშიძის ფარჩ-აბრეშუმეულობა: ერთ ქსოვილზედ ფოთლებში არის გამოყვანილი ქართული სიტყვა „ვახტანგი“, მეორეზედ „აკაკი“; აგრეთვე გამოფენილი იყო მისგან მრავალი ნიმუში სხვა და სხვა ფერისა და სახის აბრეშუმეულობისა.

ხელსაქმის განყოფილებაში საყურადღებო იყო: ქ. კორძაიას საქალებო სკოლისაგან წარმოდგენილი სხვა და სხვა ნაქსოვ-ნაკერვები; ქ. ფ. ჩხეიძის-მიერ მძივით ნაქსოვ მუთაქის პირები (თითო ღირდა 60 მან).; ქ. მირიანაშვილის-მიერ კედლის ორი ხალი, ერთი მძივებით ნაქარგი და მეორე საფოსტო მარკებით ნაკეთები.

მეღვინეობის განყოფილებაც არ იყო ღარიბი. დაჭაშნიკების შემდეგ ყველაზედ უფრო მოიწონეს პრინც მიურატის მამულიდგან გამოგზავნილი „ოჯალეში“-ს ღვინო. როგორც ერთმა სპეციალისტმა მითხრა, ასეთს უნაკლულო და ყოველ საუკეთესო თვისებით შემკულს ღვინოს არამც თუ საქართველოში, ღვინით ქებულს საფრანგეთშიაც-კი ძვირად იპოვიო.

მცენარეებში შესანიშნავი იყო და მთელს განყოფილებას ამშვენებდა უზარ-მაზარი ბანანი, ბათომის ალექსანდრეს ბაღიდგან ჩამოტანილი; კარგები იყო აგრეთვე და უცბად ბუნებრივისაგან ვერ გაარჩევდით ქ. ა. კემულარიას ხელოვნურ ვარდ-ყვავილებს; სახელმწიფო საცდელ მინდვრიდგან (რომელიც წყალ-წითელას მახლობლად იმყოფება) წარმოდგენილ სხვა-და-სხვა გვარის გოგრები და ქართული პადრიჯანი.

ფრინველების განყოფილებასაც არა უშავდა-რა. ბევრი კარგი ჯიშის ფრინველი იყო წარმოგზავნილი სხვა-და-სხვათაგან. ანანოვისა, ჟგიაშვილისა, წერეთლისა, მიქელაძისა და სხვათაგან. თვითონ სკოლის ფრინველებს-კი, რომლებიც ცალკე საქათმეში იყვნენ დამწყვდეულნი არ ეტყობოდათ რიგიანი მოვლა.

რაც შეეხება შინაურ პირუტყვის განყოფილებას, სწორედ რომ ცუდს მდგომარეობაში იყო: ვეებერთელა ახლად აგებულს თავლაში დაებათ ბ-ნ ანანოვის ორი ცხენი (ერთიც კიდევ ვისიღაც ჯაგლაგი ცხენი), ერთი ძროხა თავის ხბოთი... მეტი, მგონი, არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სკოლის ერთ უღელს თარაქამის ჯიშის ხარს, რომელიც გარეთ იყო დაბმული. მაგრამ, უკაცრავად, დამავიწყდა: თავლაშივე, ხბოს ახლო ჯაჭვით მიბმული იყო მგელი, რომელსაც შიმშილით ფერდი ფერდზედ მიჰკროდა და ნერწყვმორეული ხბოს უკრაჭუნებდა კბილებს. ეს, რასაკვირველია, ძალიან საინტერესო სურათს წარმოადგენდა, მაგრამ სამწუხაროდ, გამოფენაზედკი საიმისო ადგილი არ იყო.

საზოგადოდ გამოფენა საკმაოდ მდიდარი იყო ნაწარმოების მხრივ, თუმცა ბევრი რამ სრულიად უადგილო იყო და გამოფენასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა,—როგორც, მაგალითად: ბუხრები, საათები, ძვირფასი ქვები, ჩექმები და სხ.

მხოლოდ ესაა სამწუხარო, რომ თითონ სკოლის ნაწარმოები თითქმის არაფერი იყო გამოფენილი, რამდენისამე ბოთლ ტკბილ სასმელის გარდა, რომელიც გაეკეთებინა სკოლის ახალს მმართველს.

დასასრულ, ორიოდე სიტყვაც.

გამოფენას სახელად ერქვა „სასოფლო-სამეურნეო“ გამოფენა. ამგვარი გამოფენა, მოგეხსენებათ, ეჭირვება სოფლელებს, მიწის ბუშებს, მეოჯახეებს, და ამიტომ საჭირო იყო, რომ სწორედ ისინი უნდა დასწრებოდა გამოფენას, თორემ ჯინჯილოსან-კაკარდოსნებისათვის ამგვარი გამოფენა მხოლოდ დროს მოსაკლავი და გასართობი საგანია. აქ-კი სოფლელები, რამოდენისამე შეძლებულ თავად-აზნაურის გარდა, მონაწილეობას არ იღებდნენ გამოფენაში და არც დასწრებიან. ამის ასაცილებლად საჭირო იყო უფრო ადრე გამოცხადებულიყო გამოფენის დრო და სოფელშიაც აგენტები დაეგზავნათ, რომელთაც უნდა ჩაეგონებინათ სოფლელებისათვის გამოფენის მნიშვნელობა და აღეძრათ მათთვის ნახვის სურვილი. თუმცა ბევრ სოფლელს, რომელიც ქუთაისში ჩამოდიოდა, ძლიერ უნდოდა გამოფენის ნახვა, მაგრამ იქ შესვლას ვერც-კი ჰბედავდა.

ამხანაგი

## წერილი საჩხერიდგან.

საჩხერის მხარის მცხოვრებთათვის წლეულს შემოდგომა თითქმის არც კი არსებობდა: ჭირნახული ნაკლებად მოვიდა და ღვინო ხომ ორ-სამ კოკას ზევით არავის მოსვლია. თუ სადმე მოიძებნებოდა ვენახებში ყურძენი, ენკენისთვის პირველ რიცხვებში დაკრიფეს, დააყენეს მჟავე მაჭრები და ბევრმა კიდეც შესვა სადღვთიმშობლოდ. ეღვინოდ აქაურები ძლიერ შესწუხდებიან, მაგრამ გულს იმით იკეთებენ: „ქვემო იმერეთში სულ არ მოდის ღვინო, მაგრამ კი ცხოვრობენო და ჩვენ როგორ ვერ გავძლებთ უიმისოდაო“. ძალა აღმართსა ჰხნავს, უნდა გაუძლოთ ულვინობას, მაგრამ ჭირნახულიც რომ ცოტა მოვიდა, იმასაც გავუძლებთ? მაგრამ ჭირნახულის მოუსავლობისა სულ არ ეშინიან აქაურ კაცს, რადგან ჭიათურაში წავა და ერთ კვირაში აირებს სამ-ოთხ თუმანს, რომლის სიმინდი და პური ერთ წელიწადს სულ ეყოფათ. არამც თუ აქაურებისათვის, არამედ ყველა იმერელთათვის ჭიათურა ხაზინად გადაიქცა. ოღონდ მივიდეს ვინმე, თუ ურმით და თუ ისე სამუშაოდ და ფულს ორ თვეში შეაგროვებს. სამის კვირის ჩასულს მუშას ვერ იცნობთ, ისე გამოიცვლება: გუშინ რომ მას უბრძანებდნენ იმუშავეო, დღეს ის გამხდარა სხვისი მბრძანებელი. ასე ასხვაფერებს ჭიათურის მადანი—შავი ქვა იქ ჩასულ მუშას. წლევანდელი შავი-ქვის ვაჭრობა, მართლა, საგრძნობელი შეიქნა ყველასათვის, და მომავალში კიდევ უფრო იმატებსო, იმედოვნებენ. ამიტომაა, რომ ყოველი ქვეყნის ხალხი: სომეხი, თათარი, ფრანგი, ბერძენი სამუშაოდ ჭიათურას მოაწყდა და თან და თან კიდევ ემატება. საჩხერის მხარის მკვიდრნი სანოვაგეს ჭიათურაში ეზიდებიან, რადგან კარგი ფასი აქვს, და საჩხერე-კი ყოველ კვირა-პარასკევობით ცარიელია. ამისათვის საჩხერეში ახლა ყველაფრის ძვირობაა.

აქეთკენ დიდი გვალვები იყო მთელს ენკენისთვეში და ამისათვის პურის თესვა შეჩერებული იყო. ეხლა ცოტათი გაავდარდა და პურ თესვა დაუწყეს.

ს. ჯინჭველაშვილი

## წერილი წმიდა ათონის მთიდგან

(„ქართველთა შორის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საყურადღებოდ).

მეცხრე საუკუნიდგან დაწყებული, ვიდრე საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს, ათონის მთაზედ დიდებულ ივერიის მონასტერში არ შეწყვეტილა ქართული წირვა-ლოცვა. ქართველების წინამძღვრებს ხელში იყო ეს ძვირფასი საუნჯე და მასთან ერთად ბევრი კიდევ სხვა სავანე ბრწყინავდა აქაც და პალესტინაშიაც. 1852 წლიდგან მოკიდებული, როცა რუს-ოსმალთა ომი დაიწყო, ქართველების მოძრაობა საზღვარ-გარედ და აქაც ნელ-ნელა შემცირდა, ასე რომ ამ ორმოც-და ათის წლის განმავლობაში, მეტადრე-კი ამ ოც-და-ათის წლის წინად, ივერიის მონასტერში სულ ხუთიოდე ქართველი ბერიღა ირიცხებოდა მონასტრის ძმათა შორის, ისიც მონასტრის ზღუდეს გარეთ, წმიდა ილია წინასწარმეტყველის საგანდეგილო უდაბნოში, თავიანთ ნებითვე დაყუდებულნი. ესენი იყვნენ: ჩვენის სასიქადულო აწ გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ძმა ბესარიონი, მოძღვარი ქრისტეფორე ახვლედიანი, სამი კიდევ სხვა და ერთიც რატიანი. ამ პატარა დასაყუდებელ სავანეში ეხლა ერთი-ღა დარჩა. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ ბარკალაიამ, აწ მღვდელ-მონაზონმა ბენედიქტემ, მოიყვანა ათონის მთაზედ რამდენიმე სამონაზონოდ მომზადებული ქართველი და მიჰმართა ივერიის მონასტერს, ხოლო ამ უკანასკნელმა ისინი შიგ მო-

ნასტერში აღარ შეიწყნარა, მონასტრის გარეთ მისცეს მათ ადგილი წმინდა იოანნე ღვთისმეტყველის სავანე სენაკი, სადაც ძველად ქართველებს სღვთისმეტყველო აკადემია ჰქონიათ. მისცა ეს ადგილი ისე, როგორც მონასტრის ძმებს და თან სრული ნება დართო აეშენებინათ საჭირო შენობები და ახალი ეკკლესია. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ნეტარ ხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა და მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ. მიეცა ქართველ ძმობას კონდაკი საქართველოში შესაწირავის მოკრეფისათვის და კაიძალი ფული მოიკრიბა.

დაიწყეს სავანის შენება, ჯერ-ჯერობით ორმოც და ათი სულისთვის ააშენეს სახლი და ზედ მიადგეს ეკკლესია. როცა ეკკლესია სრულდებოდა და ყოველივე მასალა მზად იყო, გუმბათიც დაადგეს და ის-ის იყო უნდა დაეხურათ, რომ მოცვინდენ ბერძნის ბერები ივერიის მონასტრიდგან და ეკკლესიის გუმბათი ჩამოანგრიეს. ამ ნაირად ქართველთა მონაგარი შეწირულების თითქმის ერთი მესამედი ასე შეუპოვრად და უღვთოდ განადგურდა.

ამ ხნიდგან მოკიდებული აგერ ოც-და ათი წელიწადი სრულდება, ქართველთა ძმობისა და ივერიის მონასტრის ბერძენთა შორის დავა არ შეწყვეტილა. ჰეშმარიტად ძნელი ჩამოსათვლელია, რა წვალება და რა სივიწროვე, რა ნაკლულევანება განიარეს. თუმცა რუსეთის მთავრობამ სამუდამოდ შეიწყნარა ქართველთა სავანე 42 ბერით და ივერიის მონასტრის ოცი ათასი თუმნის რუსეთიდგან შემოსავალისაგან სამასი თუმანიც განუწესა, როგორც დახმარება დავის გადაწყვეტამდის; ოსმალეთის მთავრობისაგანაც ბევრჯელ მოუვიდა ბრძანება აქაურ მმართველობას „არ შეეხოთ ქართველ ძმობას“-ო, მაგრამ ყოველივე ცდა დროებითი აღმოჩნდა. ივერიის მონასტრის ბერები მაინც არ აძლევდნენ მოსვენებას ქართველ ძმობას, ბევრჯერ მოუხტნენ იარაღით ხელში და მოუნდომეს გარეკვა სავანიდგან, მაგრამ ქართველები, რამდენადაც მათ ეს შეეფერებოდათ, როგორც ბერებს, წინააღუდგნენ. ამრიგად დიდის წვალებითა და ტანჯვით დღემდის გაუძლეს ამ წვალებას.

აგერ ოცი წელიწადია, რაც ძალას დაადგნენ ივერიის ბერძნის ბერები და ნებას არ აძლევენ ქართველ ძმობას იხმაროს შეშა და წყალი და ააშენოს ანუ შეაკეთოს დაზიანებული შენობები. ამათს საცოდაობას მთელი ათონი ჰლაღადებს და ვგონებ არა ერთსა და ორს პატივცემულს ქართველებსაც უხილავს თავიანთის თვალით, მხოლოდ ამათ საქომაგოდ ხმის ამომღები კი არსად არავინ არის. ეს არც საკვირველია, რადგან ქართველები ძველადვე ფატალისტები იყვნენ და ახლაც ვგონებ ასე. „რაც ღმერთსა და ბუნებას უნდა, ის იქნებაო.“ „ვინც არა სტირის, იმას არც არა უპირს რაო“, ნათქვამია, და მათი საქმეც ასე ჰგონიათ. მე კი დამტკიცებით ვიტყვი და ვარწმუნებ ყველას, რომ ამ საცოდავებს ნამეტანის ტირილისაგან ცრემლებიც-კი შეაშრათ, მაგრამ ხსნა მაინც არ არის.

ამ რამდენისამე დღის წინათ ქართველმა ძმობამ გადასწყვიტა ერთი პატარა ქოხი აეშენებინა სავანის ხორაგეულებისა და შეშის დასაწყობად. დაუწყეს შენება, მაგრამ ჯერ სვეტებიც კი არ დაესოთ, ამოვიდა ივერიის მონასტრიდგან სწორედ წირვის დროს ოთხი კაცი ოთხი ათონის ჯარის კაცით და სრულიად შეუპოვრად გამოუძახეს წინამძღვრის მოადგილეს მამა იონას და წყრომით უთხრეს, რატომ არ შეგვატყობინე, თუ რასმეს აშენებდითო.

— როცა ათონის მთაზედ მოვედი, იმ დროს, აი ეს წარბები რომ მაქვს (თითი წარბებზედ მიიდვა), ამდენი ულვაშებიც ძლივს მქონდა, წმინდანო მამანო, —მიუგო მამა იონამ, —მხოლოდ თქვენგნით ვერავითარი შეწყნარება და კაცური თანაგრძნობა ვერ ვნახე. აგერ, ხომ ჰხედავთ, დავბერდი და სრულიად გავთეთრდი; რა არის, რას გვერჩით, რას გიშავებთ, რატომ არ შეხედავთ ღმერთს და ან რატომ არ გაიხსენებთ თქვენი მონასტრის დამაარსებელს წმიდა მამებს, რად არ გვაძლევთ საშველს; რა დაგემართათ, რომ წირვა მიატოვეთ და ასე უბრალო, სრულიად უმნიშვნელო საქმისათვის აქ ამოგვეჭერით და ასე გვიჯავრდებითო? ჩვენც კაცები ვართ და ღვთის გაჩენილებიო; ჩვენც ცხოვრება გვინდა და რას გვერჩითო.

ეს სიტყვები ქართულად იყო წარმოთქმული, მხოლოდ ერთს, საქართველოში ნამყოფს ბერძნის ბერს, კახური ღვინით და კახელების პურმარილით გამომძღარს, ესმოდა, რომელმაც გადასცა ეს სიტყვები უკლებლად სხვა მისს ამხანაგებს. ამასთანავე მამა იონამ ბევრჯელ სთხოვა მათ ასულიყვნენ სასტუმროში და ყავა მიერთმიათ ათონის საზოგადო წესისამებრ, მაგრამ ისინი გაანჩხლდნენ და უბრძანეს თავიანთ ჯარის-კაცებს დაენგრიათ შენობის სვეტები და აქეთ-იქით გადაეყარათო. ეხლა-კი გაწყდა ამ ნახევარის საუკუნის განმავლობაში მოთმინებით აღსავსე ქართველების აჯა და პირ-და-პირი წინააღმდეგობა გამოუცხადეს; არ მისცეს ნება დაენგრიათ და ადგილიდგანაც მშვიდობით წაბრძანება ურჩიეს. მოგეხსენებათ ღვთის წყალობა, რომ ისინი ძალიან მოლბენ და ძალიან ჩქარაც გაუდგნენ გზას. მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ივერიის მონასტრის ბერებმა მიჰმართეს უფრო უძლავრესს საშუალებას — აქაურ პროტს (მთელის ათონის სამმართველო კრებას), ჩამოგზავნეს რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რამოდენიმე ბერი და დაანგრიეს შენობა. ქართველების ძმობამ-კი მთავრობას მიჰმართა და თან დეპეშები გაუგზავნა რუსეთის ელჩსა და წინამძღვარს მამა ბენედიქტეს. ბერძნებმა-კი სასწრაფოთ სხდომა მოახდინეს ათონის საყოველთაო საკრებულოში და გადასწყვიტეს: არ მისცენ ქართველებს არაფრის აშენების ნება და იხმარონ ყოველი ღონისძიება, ან ძალით ან ნებით გარეკონ ისინი ათონის მთიდგან. ასეთ მდგომარეობაში არის დღეს საქმე და საერთოდაც გადასწყვიტეს ქართველებმა გაუძალდნენ მონასტერს და არ მოშორდნენ ამ მათის შრომით აღგებულს სავანეს. თან სთხოვენ ქართველ საზოგადოებას შეეწიონ მათ და აღმოუჩინონ რაიმე დახმარება.

გევედრებით ძმებო, ნუ დასტოვებთ თქვენს სისხლსა და ხორცს ქართველებს, თქვენთვის მლოცველებს, ასე საშინელს მდგომარეობაში. გვიშუამდგომლეთ სადაც ჯერ არს; შეგვეწიეთ, ღვთის გულისათვის, უკიდურესს მდგომარეობაში ვართ. ასეთის გლოვა-ტირილითა და ღაღადით მოგმართავთ დღეს, ქართველნო, ორმოცი სულიერი მოხუცი მამა, რომლებსაც მეტის-მეტის გაჭირვებისაგან მოთმინება გასწყვეტიათ და მზად არიან უსამართლობას შეებრძოლონ.

ვაშნარსკი.

ერთი თაყვანის მცემელთაგანი

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ სამოსწავლო მთავრობებმა ნება-დართონ ხოლმე გიმნაზიებს ამ გიმნაზიებში სახმარებლად მხოლოდ ის წიგნები და გამოცემანი იქონიონ, რომელნიც მოწონებულია საერო განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყების მიერ.

— საერო განათლების სამინისტროში პროექტი იქმნა შეტანილი იმის შესახებ, რომ პირველ დაწყებით სასწავლებლებში მოკლე ჰიგიენის სწავლება იქმნას შემოღებული. სამინისტრო ამ პროექტის განხილვას, როგორც გაზეთები იუწყებიან, ახლო მომავალში შეუდგება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** სამხედრო მინისტრმა გენერალმა გალიფემ კიდევ ახალი ნაბიჯი გადასდგა აფიცერთა შორის დისციპლინის დამყარების შესახებ. აქამდის საფრანგეთის აფიცრებს ნება ჰქონდათ სამსახურს გარეშე საერო ტანისამოსით ევლოთ. ხშირად უაზარმებშიაც-კი მიდიოდნენ აფიცრები ასეთის ტანისამოსით. ეხლა-კი მინისტრმა სასტიკად აღკრძალა ეს ჩვეულება და რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით ბრძანება გამოსცა, რომ სამსახურში მყოფი აფიცრები მუდამ სამხედრო ტანისამოსში იყვნენ, როგორც თანამდებობის აღსრულების დროს, ისე სამსახურს გარეშეც. ეს განკარგულება არ შეეხებათ პარიჟის მეცეხოვნე ჯარის აფიცრებს და კიდევ იმათ, რომელნიც მოკლე ანუ ხანგრძლივი ვადით სამსახურიდგან განთავისუფლებულნი იქნებიან. გენერალი გალიფე მუდამ წინააღმდეგი ყოფილა, რომ აფიცრებს საერო ტანისამოსი ეტარებინათ, მაგრამ ეხლა ასეთის განკარგულების გამოცემა იმან დააჩქარებინა, რომ ამ ბოლო დროს აფიცრებმა ერთობ გაახშირეს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საზოგადოდ მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღება და მთავრობას-კი უძნელდებოდა მათთვის თვალ-ყური ედევნებინა, რადგან საერო ტანისამოსში მყოფ აფიცრებს ვერ არჩევდა სხვებისაგან.

— ეს რამდენიმე კვირაა, რაც პროვინციალურ ქალაქებში მთავრობა დაეძებს და აწიოკებს როიალისტთა შეთქმულობის მოკავშირეთ. 30 სექტემბერს გრენობლში სახლი გაუჩხრიკეს სათადარიგო ჯარის მაიორს ვიცს, ადვოკატს პერრიუს, ანტისემიტთა საზოგადოებას, ნაციონალურ კლუბს და სხ. ლილში გულმოდგინედ იძიებს მთავრობა იქაურ ახალგაზრდა როიალისტთა კავშირის მოქმედებას. თუმცა ამ კავშირის წევრებად მომეტებულ ნაწილად დიდკაცები არიან, მაგრამ კავშირის თავმჯდომარედ ყოფილა მეტად ღარიბი ვინმე რობენი. მის ბატონს, რომელიც რესპუბლიკის დასს ეკუთვნის და მდიდარი კაცია, არაფერი არ სცოდნია თუ რა შესამჩნევს როლს ასრულებდა მისი მეტად როიალისტთა ბანაკში.

—

**პორტუგალია.** ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ სამხრეთ აფრიკის საქმეების გარდაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ პორტუგალია ვის მხარეს დაიჭერსო — ინგლისს მიემხრობა, თუ ნეიტრალიტეტს დაიცავსო. როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ლისაბონის (პორტუგალიის სატახტო ქალაქია) ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ თურმე თავიანთ მთავრობას ინგლისს მიემხროთო. ინგლისთან კავშირიო, — ამბობენ ხსენებული გაზეთები, — თავდებია იმისა, რომ პორტუგალიის შორეულ ახალშენებს ხელს კრავენ წაუპოტინებსო. უმაღლესი პატრიოტული მოსაზრებანი უარში წააგზურჩეულებს, რომ ინგლისის მოკავშირე იყავითო. რადგან ინგლისისა და პორტუგალიის ინტერესები ერთი მეორისაგან განუშორებელია, ამიტომ კავშირი ორივე სახელმწიფოს გაამაგრებს და ამიტომ ის მტკიცე და შეურყეველი უნდა იყოსო.

—

**ინგლისი და ტრანსვაალი.** რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დეპეშამ ამბავი მოიტანა, — ბურებმა აიღეს კიმბერლეი და მეფეკინგს ჯარი გარს ახვევიაო. რადგან ბურებმა დასწყვიტეს იქ ტელეგრაფის მავთულები, ამიტომ ამ ჟამად არავინ იცის, შემდეგ რა მოხდა ანუ დღეს რა მდგომარეობაშია იმ მხარეს საქმეები. მხოლოდ ეს ამბავი მოვიდა, რომ სესილ როდსი მივიდა კიმბერლეიდგან კაპშტადტში და სთქვაო, რომ მღივს გამოვაწარი, გინაღამ ტყვედ ჩავუვარდი მტერს ხელშიო. ბურებს-კი ყველაფერზედ უფრო იმიტომ ეჩქარებოდათ კიმბერლეის აღება, რომ სესილ როდსი დაეტყვევებინათ, ეს დაუძინებელი მტერი ტრანსვაალისა და ორანჟესი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ნატალში, აქამდის შესამჩნევი ბრძოლა არ მომხდარიყო. ნიუკესტლი უომრად დაუტოვეს ინგლისელებმა მტერს და რამდენიმე შეტაკება ერთმანეთთან დენდის მახლობლად მოუხდათ მოწინააღმდეგე მხარეთ. მხოლოდ 8 ამ თვეს დაეტაკნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი გლენკეს მახლობლად. რამდენად ძლიერი იყო იქ ბრძოლა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ბურებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ინგლისის ჯარის სარდალი გენერალი სეიმონსი, რომელიც უკვე გარდაიცვალა, და მასთან ერთად დახოცეს და დასჭრეს 32 აფიცერი სხვა-და სხვა ხარისხისა. ეს მცირე დასავლიასი რიდია ისეთი პატარა ჯარისათვის, რომელიც ინგლისსა ჰყავს სამხრეთ აფრიკაში. მართალია ინგლისის დეპეშა იუწყებიან, რომ ბურების მხრით ჩვენსაზედ მეტია მოკლული და დაჭრილიო, მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან არც ერთი მოკლულ ანუ ტყვედ წამოყვანილ სარდლის სახელი არ არის მოხსენებული. ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა და დღე-დღეზედ უფრო გარკვევით გავიგებთ, ვის რამდენი ზარალი მოუვიდა.

— გაზეთების სიტყვით, კაპშტადტის სამინისტროს, რომელიც აფრიკანდიორებისაგან შესდგება, უარი განუცხადებია კოლონტიორების მოწვევის შესახებ, და ინგლისის მოხელენი იძულებული გამხდარან თითონ გამოეწვიათ ომში წასვლის მსურველნი. ეს გარემოება გაზეთებს საბუთს აძლევს იფიქრონ, რომ კაპის ახალშენში საქმე კრიტიკულს მდგომარეობაში არისო. გოფმეიერს, აფრიკანდიორების კავშირის პრეზიდენტს, და ამ კავშირის სხვა წარჩინებულ წევრებს პროკლამაცია გამოუციათ, რომლითაც თავიანთ თანამოაზრეებს სთხოვენ ხელის მოწერას გამართონ და ფულები შეაგროვონ ტრანსვაალელ დაჭრილთა და ქვრივობოლთა სასარგებლოდ. პროკლამაციაში, სხვათა შორის, აი რა არის ნათქვამი:

„კაპის ახალშენში ცოტანი მოიპოვებიან ისეთი აფრიკანდიორები, რომელთაც ნათესაობა და მეგობრული კავშირი არა ჰქონდეთ ორივე რესპუბლიკის (ტრანსვაალი და ორანჟე) მცხოვრებლებთან. ცხადია, მათი დახმარება კანონიერად უნდა გამოიხატებოდეს. რის გაკეთება შეგვიძლიან? ავიღოთ ხელში იარაღი და შევუერთდეთ მებრძოლთ? ჩვენი მოვალეობა, როგორც ბრიტანიის ქვეშევრდომთა, ამის ნებას არ გვაძლევს. ჩვენ ვსთხოვთ ყველა აფრიკანდიორს, რომ შეძლების და კვალობაზედ შესწირონ რამე თანხასო“.

— გერმანულ გაზეთს „Berl. Tagebl“-ს, როგორც თითონ აცხადებს, დიპლომატიურის წყაროებიდგან შეუტყვია, თუ რა საქმისათვის წავიდა პარიჟში რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი მურავიოვი. „უკანასკნელ ხანებში ხმა გავრცელდაო, — ამბობს გაზეთი, — რომ რუსეთს, საფრანგეთს და ესპანიას აზრად აქვთ ტრანსვაალის საქმეში ჩაერიონო. გაზეთის აზრით, ეს ხმები სიმართლესთან ახლოს არის. მაგრამ პირდაპირ ომში ჩარევის და მით უფრო ტრანსვაალის დახმარების შესახებ ლაპარაკიც-კი მეტიაო. ფაშოდის საქმის შემდეგ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე მოწადინებულია სამაგიერო გარდაუხადოს ინგლისსაო. ამიტომ მას სურს ხელი ჩასჭიდოს ინგლისის გაჭირვებულ მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში და რაიმე სარგებლობა გამოიტანოს როგორც საფრანგეთისა და რუსეთისათვის, ისე ესპანიისთვის, რომელიც დელკასეს აზრად აქვს საფრანგეთ-რუსეთის კავშირს მიუმხროსო. აი ამ გარემოებამ გამოიწვია მურავიოვის პარიჟში წასვლაო, — ამბობს გაზეთი, — რათა დელკასეს და იმას ერთად მოელაპარაკნათ, თუ როგორ გამოიყენონ ინგლისის გაჭირვებაო“.

## დამაჯერდა

ბევრი ქალი ინანებდა მოდამ, რომელმაც იძულებულ ჰყო კდემა-მოსილება სიმშვენიერისათვის შეეწირათ მსხვერპლად.

ბუასტი

* * *

ბუზს ბაყაყი ჰნთქავს, ბაყაყს — გველი, გველსა — არწივი; აი, ეს არის პოლიტიკა; იგი ბუნების კანონებს ემყარება.

კარმენ სილვა.

* * *

„შეგვიყვარეთო“, გვეუბნებიან თითონი. ვითარ შევიყვარეთ, როდესაც მათნი ნიღაბნი გვინგრევენ სამეფოს, გვაბიდწებენ სარწმუნოებას, გვიწვენ

წიგნებს, გვისპობენ ენას და გვართმევენ მამაპაპათა სისხლით მორწყულს მიწა-წყალს!

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეპილი ამბები)

როგორც ერთი ინგლისური გაზეთი იუწყება, ავღანის ემირი ამ ბოლოს დროს საოცარ მტარვალობას იჩენს თურმე. ჰფიქრობენ, რომ ემირი ჭკუაზედ შესცდა. ის დღე არ გავა, რომ რამდენიმე კაცი არ სტანჯოს და წუთი-სოფელს არ გამოასალმოს. სხვათა შორის ამ რამდენისამე დღის წინად იმის ბრძანებით ერთი წარჩინებული მოხელე ფეხებით ორ ხეზედ ჩამოუკიდნიათ, ერთი ფეხით ერთზედ, მეორეთი—მეორეზედ და შემდეგ ხეები მოუჭრიათ: წაქცევის დროს მოხელე შუაზედ გაუხლეჩია. ორი სხვა მოხელე ცეცხლში ჩაუგდია, ხოლო ერთი სპარსელი ადუღებულს წყალში. კაბულიდგან მრავალი ავღანელი გაქცეულა და სხვა სახელმწიფოში გადახვეწილა.

* * *

ჩვენს გაზეთში არა ერთხელა და ორჯელ ყოფილა დაბეჭდილი ნიმუშები ამერიკულ რეკლამისა. ამ ბოლოს დროს შეერთებულ შტატების მთავრობამ ყურადღება მიაქცია რეკლამას, რომლის შემწეობითაც ვაჭრები და სხვა-და-სხვა გაიძვერა ვაჟბატონები საზოგადოებას ატყუებენ და იმას ჰპირდებიან, რაც არ მოეპოვებათ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკის მთავრობას ახალი კანონი გამოუცია, რომლის ძალითაც აღკრძალულია ტყუილი და გაზვიადებული რეკლამები. ამ კანონის დამრღვეველს შესაფერი სასჯელი გარდახდება.

* * *

როგორც გაზეთები იუწყებიან, უნგრეთში ცნობილ მწერალ ქალს არქეოლოგს სოფიო ტორმას მიუღია ბუდა-პეშტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. სოფიო ტორმა პირველი ქალია თურმე, რომელსაც უნგრეთში ეს ხარისხი მიუღია.

* * *

პარიჟის გამოფენის დროს ყველაზედ საყურადღებო და შესანიშნავი იქნება ეგრედ წოდებული „ძველი პარიჟი“. მდინარე რენის ნაპირზედ მთელი ახალი ქალაქი იქმნება გამართული, რომელიც ძველს პარიჟს წარმოადგენს. აგებული იქმნება ამ უბანში ძველი სახლები, კოშკები, გალავნები. ქუჩებში უნდა იაროს ძველებურად გამოწყობილმა ხალხმა, მდინარე სენაზედ კიდევ ძველებური გემები ივლიან.

* * *

ამას წინად აბაშეთის მეფეს ბრძანება გაუცია, რომლითაც ყველა აბაშელს თამბაქოს მოწევა აღეკრძალა. აბაშეთი პირველი სახელმწიფოა, სადაც თამბაქოს მოწევა აღკრძალული იქმნა. ამ შემთხვევაში გაუნათლებელმა აბაშეთმა განათლებულ ევროპასა და ამერიკას აჯობა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ევროპიდგან მეფე მენელიკს მრავალი მადლობის წერილი მისვლია იმ საზოგადოებათაგან, რომელთაც აზრად თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ ბრძოლა აქვთ.

* * *

პირველ ოქტომბერს სწორედ 80 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ახლად გამოგონილის ტელეგრაფით პირველი კერძო დეპეშა იქმნა გაგზავნილი. პირველ ხანს კერძო კაცებს დეპეშის გაგზავნის ნება არა ჰქონიათ, მაგრამ როდესაც ნება დაერთო, არ იცოდნენ იმის სარგებლობა და ამიტომ არც-კი ვინმემ მიჰპართა ტელეგრაფს. პირველი კერძო კაცი, რომელმაც დეპეშა გაგზავნა, ერთი ვაჭარი იყო. ამ ვაჭარმა გაზეთში წაიკითხა, რომ ჰამბურგის ნავთსადგურში ტყავებით დატვირთული გემი მოვიდაო. ვაჭარს ტყავების ყიდვა უნდოდა, მაგრამ ეშინოდა, სანამ წერილით აგენტს შევატყობინებ, ან თვითონ მე ჩავალ ჰამბურგში, საქონელი გაიყიდებაო. ამიტომ ბევრი აღარ უფიქრია და დეპეშა გაუგზავნია აგენტისათვის. შემდეგ სხვებიც მიეჩვივნენ თურმე დეპეშების გაგზავნას.

* * *

ერთი გაზეთი შემდეგს უცნაურს ამბავს იუწყება. ამა წლის მარტში ვინმე ტერეზა ვალლენტიმ უცბად და მოულოდნელად სხვა და სხვა მცენარეების და ცხოველების ხატვა დაიწყო. წინად ამ ვალენტის სულ არა სცოდნია ხატვა და არც როდისმე დაუხატნია რამ. საყურადღებო ის არის, რომ ამ ქალის ნახატი სამაგალითო და პირველ ხარისხოვანი გამოდგა. სულ ცოტა ხანში ქალს 300 სურათზედ მეტი დაუხატნია. ამ ახლო მომავალში ერთი საზოგადოება ამ ქალის სურათების გამოფენასაც-კი გაჰმართავს.

* * *

ამერიკელის ადმირალის დევეის შვილი მსახურობს ერთ სავაჭრო სახლში. ამას წინად ახალგაზდა დევეი ცინცინატში წასულა რაღაც საქმის გამო, როგორც წარმომადგენელი სავაჭრო სახლისა. იქ, სხვათა შორის, მაღაზიაში შესულა და სავაჭრო სახლის საქონლის ნიმუშები უჩვენებია. როდესაც თავისი გვარი დაუსახელებია, იქვე მყოფი ერთი ახალგაზდა ქალი, მიჰვარდნია, კისერზედ გადაჰხვევია და კოცნა დაუწყვია. ამასთან უთქვამს, მინდა პატივი ვსცე გამოჩენილის გმირის შვილსაო. ასეთის პატივის ცემით წინადაც თავი მობეზრებული ჰქონია ახალგაზდა დევეის, ეხლა-კი სულ მოთმინებიდგან გამოსულა, ძალზედ გაჯავრებული ჩამჯდარა ეტლში და იმავე დღეს ნიუ-იორკში დაბრუნებულა.

* * *

თუ რამდენად ჩქარა დადის მატარებლები ამერიკაში, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ამას წინად იქ ერთ მატარებელს გზაში შეჰგვიანებია, მაშინისტს დაკარგულ დროს აღსადგენად მატარებელი გაუჩქარებია და სადგურში დანიშნულ დროს მისულა. აღმოჩნდა, რომ მატარებელს ერთს საათში 111 ვერსი გაუვლია.

* * *

ტუნისის ერთს ადგილას ძალიან გამრავლებულან თურმე ამას წინად ბეღურა ჩიტები. ეს ჩიტები საშინლად აოხრებდნენ ნათესს. ამიტომ მცხოვრებთა თხოვნით, მთავრობას ერთი ბატალიონი ჯარი გაუგზავნია იმ ადგილას ბუდეების ჩამოსაშლელად. ჯარის კაცებს ბუდეები ჩამოუშლიათ, შემდეგ 5000 კვერცხი მოუკრებიათ ბეღურისა და უშველებელი ერბო-კვერცხი მოუმზადებიათ.

## საისტორიო შენიშვნა

—

დღეს ყოველ ერს თავისი საკუთარი ალამი აქვს ფერადის ნაჭრებისაგან გაკეთებული. ასე რომ ესა თუ ის ფერადობა ალმისა განასხვავებს ერთს ერს მეორისაგან. ეს ფერების დასაკუთრება ახალის დროის ნაყოფი როდია, მკვლევდაც ყოფილა და თამარ მეფის საქართველოსაც სცოდნია. ეს უეჭველად სჩანს იმ წიგნიდგან, ხატაველთა მეფეს რომ მიუწერია ტარიელისათვის პასუხად. ქართველების საერო ალამი, რომელიც ორფერი ყოფილა: წითელ-შავი. „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“-ო ამბობს რუსთაველი. თუ ვინმემ რამე იცის ამ საგნისა, კარგი იქმნება გამოსთქვამდეს „ივერია“-ში. ისტორიის მხრივ საინტერესოა ვიცოდეთ, როდის დაწესებულა ამისთანა ალამი, რა მნიშვნელობა ჰქონიათ ამ ფერებს, ან თუ სადმე კიდევ „ვეფხის-ტყაოსანს“ გარდა მოხსენებული საერო ალამი ამნაირისავე ფერისა.

პეტრე მირიანიშვილი

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი შემდეგის სათაურით „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეის გამო“, გამოცემული ექვთ. ხელაძის მიერ. როგორც ვუწყით, ეს იუბილეი გარდახდილ იქმნა 1895 წელს, 22 ღვინობისთვეს, ქ. ტფილისში. წიგნში აწერილია ყოველგვარი წერილები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იმ დროს იუბილეის გამო მოთავსებული, მოკლე აწერილობა თვით იუბილეისა, ადრესები იუბილიარის მიერ მიღებული, ლექსები, რომელიც მას უძღვნეს, სიტყვები, იუბილეის დროს წარმოთქმული, მისალოცი წერილები, კორესპონდენციები და დეპეშები. წიგნი 145 გვერდს შეიცავს, სუფთად არის გამოცემული და ღირს 25 კაპეიკი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ოქტომბერი

**კაპშტადტი.** მეფკინგიდგან იუწყებიან, რომ ბოერებმა ინგლისელებთან შეტაკების დროს 53 კაცი დაჰკარგესო; დაჭრილი ბევრია.

**ლონდონი.** გენერალ უაიტის ოფიციალური დეპეშა ელანდსლააგტეს ალების შესახებ: „მოქმედება დაიწყო ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. ბოერებს ძლიერ მაგარი ადგილი ეჭირათ მაღლობებზედ. ჩვენი არტილერია დაემწკრივა მთის კალთაზე. მტერმა მაშინვე ყუმბარები დაგვიშინა. ბოერები კარგად ისროდნენ, მაგრამ რამდენიმედ მაღლა. ზარბაზნების სროლის შემდეგ, რაიცა იმით დაბოლოვდა, რომ ბოერების არტილერია იძულებულ შეიქნა სროლა შეეჩერებინა, ქვეითა ჯარმა, დევან შორის პოლკის მეთაურობით, იერიში მიიტანა. ძლიერი ბრძოლის შემდეგ, საღამოს 6 ნახევარ საათზე ქვეითა ჯარმა მტრის ბანაკი დაიჭირა. უკანასკნელს წუთამდის მტერი ძლიერ მამაცურად იბრძოდა და ზარბაზნებს იცავდა. ორი ზარბაზანი და მთელი ბანაკი დაგვრჩა. ბოერებმა დიდი ზარალი ნახეს. უკანვე დავიბრუნეთ ბოერების მიერ დაჭერილი მატარებელი და ცხრა ტყვედ წაყვანილი ინგლისელი. ჩვენი მხრით მოკლული და დაჭრილია 160 კაცი.“

**გლენკე.** ნაშუადღევის 2 საათზე ბანაკის ჩრდილო დასავლეთის მხრით ძლიერი ბრძოლა ასტყდა.

**კაპშტადტი.** ელანდსლააგტთან ბრძოლის დროს ტყვედ დაგვრჩა რამდენიმე ბოერი, იმათ რიცხვში ერთი იმათი სარდალი—კუკი, რომელიც დაჭრილია და ჟუბერი, გენერალის ძმის წული.

**კაპშტადტი.** გლენკედგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ჟუბერის ჯარი ეხლა იერიშით მოადგა ინგლისელების სიმაგრეებსო.

**ლონდონი.** დედოფალმა დეპეშა გამოუგზავნა სამხედრო მინისტრს, რომ გული მემღვრევა, როცა წარმოვიდგენ, თუ რა შესამჩნევი ზარალი მოგვეცაო. დღეს კიდევ დიდათ გავიმარჯვეთ, მაგრამ როგორ მეშინიან, ეს ერთობ ძვირად არ დაგვიჯდესო. შემდეგ დედოფალი სთხოვს მინისტრს, გარდაეცით ჩემი გულითადი თანაგრძნობა დახოცილთა ნათესავებსო.

**კაპშტადტი.** ბოერები თოფ-ზარბანებს ესროდნენ დენდის. დიდს მანძილზე იმათი ყუმბარა ვერ საქმობს.

**კაპშტადტი.** ბოერების გენერალი კუკი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ბოერების ჯარში, რომელიც ელანდსლააგტესთან ომობდა, ჰოლანდიელები'ა, გერმანელებისა და სხვათა ვოლონტიორებიც ერივნენ. ელანდსლააგტესთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩაგვივარდა გერმანელ ვოლონტიორების უფროსის შვილი.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია, რომ ბოერების უმაღლესმა ღირსებამ, რომელიც მათ გამოიჩინეს, უფრო ხელი უნდა შეგვიწყოს სამხრეთ აფრიკის დამშვიდების საქმეში, რომელიც უკანასკნელი მიზანია ომისო. ჩვენ სამუდამოთ უნდა გავფანტოთ აფრიკანდერების ოცნება ნაციის შექმნის შესახებო. ინგლისმა თუ გარდაუხვია ამ გზას, იმას ეს სამაგალითო სისულელედ და დანაშაულობადაც ჩაეთვლებაო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში კაპშტადტიდგან მოსული დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც იუწყება, რომ ინგლისელებმა მეორეთაც ძლიერ გაიმარჯვეს გლენკეს მახლობლად. ბოერებმა ვერ გაუძლეს ინგლისელებსო. როგორც ისმის, ბოერებს დიდი ზარალი მოუვიდათ. უკან დაიხიეს და სულით დაეცნენო. სულით დაეცნენო. მეორე ხმა გამოვიდა, რომ კრიუგერი ურჩევდა ჯარს სრულიად დანებდითო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ დღეებში დამზადდება და გასასყიდად გარდაეცემა წიგნის მაღაზიებს ჩემ მიერ გამოცემული წიგნი „საერო დღესასწაული თ. რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო“. ამ წიგნის გამოცემა ერთობ დაგვიანდა ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველ საზოგადოების და განსაკუთრებით იუბილარის წინაშე. ამასთანავე ვუცხადებ დიდს მადლობას დეკ. დავით ღამბაშიძეს, თ. ვასილ ჩერქეზიშვილს და ბ-ნ ვ. კახიძეს, რომელთა მეცადინეობით და დახმარებით ეხლა მაინც ეღირსა ამ წიგნის გამოსვლა.

წიგნი შეიცავს 150 გვერდს და შიგ მოთავსებულია ბიოგრაფიული ცნობები იუბილიარისა: აღწერა დღესასწაულისა, მრავალი სიტყვები და ლექსები, წარმოთქმული დღესასწაულის დროს, მისალოცი წერილები, ადრესები და დეპეშები. წიგნი ღირს 25 კ. წმინდა მოგება გაყიდული წიგნებისა გარდაეცემა იუბილარს, ან იმისს სახელით საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარდება.

ექვთიმე ხელაძე

—

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ნათესავთა და ნაცნობთა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მწუხარებაში ჩვენის უძვირფასესის ასულის ელენეს გარდაცვალების გამო.

თავადნი კონსტანტინე მალაქიას ძე და ტასია გიორგის ასული გურიელნი.


## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—32) ნ. წერეთელი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—18)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისი 40 კაპ.

ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი 1 მან. 50 კაპ.

თხზულებანი პუშკინისა 50 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о Грузiи Исарлова 80 კ.

Телавскiй уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ქართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ევ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია I, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისივე თარგმანი 30.

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავისა 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 12 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.